

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლისათვის ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო
კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების
წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის
შემოსულობები და ნაშთი;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო
მაჩვენებელი შეადგენს 153,503.6 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 29,900.0 ათას ლარს. მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადი - 5,400,0 ათასი ლარი.

ქონების გადასახადი - 24,500.0 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 72,286.4 ათასი
ლარით: მათ შორის:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გათანაბრებითი ტრანსფერი -
40,286.4 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები
კაპიტალური ტრანსფერი - 32,000.0 ათასი ლარი;

2018 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო
მაჩვენებელი განისაზღვრა 40,417.2 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,417.2 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 600.0 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 817.2 ათასი ლარის ოდენობით.

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 33,600.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 33,600.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით.

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 700.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 10,900.0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (ნაშთის გამოყენება) იგეგმება 270,4 ათასი ლარი.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 153,774.0 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 55,4% - 85,230.2 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 18,572.8 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 35,319.0 ათასი ლარი;
- პროცენტი - 4,447.5 ათასი ლარი;
- გრანტები - 7.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 13,502.7 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 7,820.6 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 5,560.6 ათასი ლარი;

- მთლიანი ასიგნებების 32,6% - 50,071.7 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შემენაზე).

- მთლიანი ასიგნებების 3,0% - 4,677.6 ათასი ლარი მოდის ფინანსური აქტივების ზრდაზე (შპს-ების კაპიტალის ზრდაზე).

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 13,794.5 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9,0%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიაში განხორციელებული ცვლილებების ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია დანართის სახით.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი



არჩილ ვანაძე

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ

(ათას ლარებში)

დასახელება	2018 წლის პროექტი (პირველი წარდგენა)	2018 წლის პროექტი (მეორე წარდგენა)	ცვლილება +/-
შემოსულობები	146,121.0	153,503.6	7,382.6
შემოსავლები	135,221.0	142,603.6	7,382.6
გადასახადები	29,900.0	29,900.0	
გრანტები	64,903.8	72,286.4	7,382.6
სხვა შემოსავლები	40,417.2	40,417.2	
არაფინანსური აქტივების კლება	10,900.0	10,900.0	
გადასახდელები	146,121.0	153,774.0	7,653.0
ხარჯები	85,643.5	85,230.2	-413.3
შრომის ანაზღაურება	19,251.2	18,572.8	-678.4
საქონელი და მომსახურება	35,160.9	35,319.0	158.1
პროცენტი	4,447.5	4,447.5	
სუბსიდიები	13,468.8	13,502.7	33.9
გრანტები	7.0	7.0	
სოციალური უზრუნველყოფა	7,584.5	7,820.6	236.1
სხვა ხარჯები	5,723.6	5,560.6	-163.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	42,005.4	50,071.7	8,066.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	4,677.6	4,677.6	
ვალდებულებების კლება	13,794.5	13,794.5	
ნაშთის ცვლილება		-270.4	-270.4

ინფორმაცია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ

შემოსულობების ცვლილება

(ათას ლრებში)

№	დასახელება	თანხა	შენიშვნა
1	გრანტები	7,382.6	
	გათანაბრებითი ტრანსფერი	382.6	
	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	7,000.0	
	ჯამი	7,382.6	

ნაშთის გამოყენება

(ათას ლრებში)

№	დასახელება	თანხა	შენიშვნა
1	ნაშთის ცვლილება	270.4	
	ნაშთის კლება	270.4	
	ჯამი	270.4	

სულ რესურსი		7,653.0	
--------------------	--	----------------	--

გადასახდელების ცვლილება

(ათას ლრებში)

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა		შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	-4.0		
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10.0		გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-165.0		შემცირდა საქონელი და მომსახურების ხარჯების დაფინანსება
01 07	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	91.0		ახალი პროგრამა
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება	60.0		ახალი პროგრამა

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა		შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
03 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	6,032.0	688.0	
03 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	2,203.9		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიებები: - ქსენია ბახტაძის ქუჩის კეთილმოწყობა, ბახტაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის კეთილმოწყობა; - მეზღვურის ქუჩის კეთილმოწყობა; - სიონის ქუჩის კეთილმოწყობა; - ზედადელის დასახლება N51-დან N61-მდე ქუჩის კეთილმოწყობა; - ფრ. ხალვაშის მე-8 ჩიხის კეთილმოწყობა; - შამიკაშვილის ქუჩაზე 100მ მანძილზე კეთილმოწყობა და ოპიზრების ქუჩის მონაკვეთზე შამიკაშვილის ქუჩიდან კვინიტაძის ქუჩებს შორის 60გრძ.მ ბეტონის საფარის მოწყობა; - მაჭახელას ქუჩის კეთილმოწყობა;
03 01 03	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	206.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიებები: - მარკოზ აჭარელის მე-3 შესახვევის მონაკვეთის და მე-4 შესახვევის გარე განათების მოწყობა - ახაბერის ქუჩის განათება
03 02 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	457.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიება: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობა
03 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	605.1		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიება: თოდოგაურის დასახლებაში წყლის სისტემის მოწყობა
03 02 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	2,560.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ღონისძიება: ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება
03 03 05	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი		688.0	იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიება: ბოტანიკურ ბაღში ელექტრო სადენებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო ქსელის მიწისქვეშ ჩაწყობა
04 00	განათლება	627.1		
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	616.8		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, ემატება ახალი ღონისძიებები: - იბერიის ქუჩა N1 მდებარე N26 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; - აღმაშენებლის ქუჩა N5-ში მდებარე N11 ბაღის ეზოს კეთილმოწყობა
04 03 01	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა	10.3		ახალი ქვეპროგრამა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	-484.4		
05 01 01	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5.1		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, დაემატა ახალი ღონისძიება: სასკოლო ოლიმპიადა
05 01 02	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	-195.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
05 01 03	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	13.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, წლის განმავლობაში მაღალი სპორტული წარმატების მიღწევისათვის სპორტსმენების დაჯილდოების მიზნით

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა		შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
05 01 04	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	15.2		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, იზრდება მუნიციპალური წყალბურთის კლუბის დაფინანსება
05 01 07	ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი	-71.5		ამოღებული იქნა ქვეპროგრამის დაფინანსება, ხარჯების ნაწილი გადადის ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრში (05 02 01)
05 02 01	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	35.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, ემატება ავტოდრომის მოვლა-პატრონობის ხარჯები
05 03 01	კულტურული ღონისძიებების მართვა	999.7		
05 03 02	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	788.0		
05 03 03	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა	63.0		ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ერთიანი დაფინანსების ნაცვლად მოხდება ცალკეული პროგრამულ მიმართულებების დაფინანსება
05 04 01	ფოლკლორის ხელშეწყობა	743.7		
05 04 02	თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა	193.3		
05 04 03	კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა	367.4		
05 03 06	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი	-3,154.9		
05 03 05	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	-100.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
05 06 01	ახალგაზრდული ცენტრი	-49.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
05 06 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	-50.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
05 06 03	სტუდენტური საზაფხულო დასაქმება	-87.4		ამოღებული იქნა ქვეპროგრამის დაფინანსება
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	254.8		
06 01 01	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	250.0		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, ემატება სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტების დახმარების კომპონენტი
06 01 03	ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	-56.0		ამოღებული იქნა ქვეპროგრამის დაფინანსება, გადავიდა ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში (06 01 09)
06 01 07	შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია	34.9		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება
06 01 09	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	45.6		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, ემატება ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობის კომპონენტი
06 01 11	ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	-120.0		ამოღებული იქნა ქვეპროგრამის დაფინანსება, გადავიდა მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში (06 01 12)
06 01 12	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	-223.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება, მედიკამენტების დახმარების კომპონენტი გადადის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში (06 01 01)
06 01 13	ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება	18.7		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება, სასწრაფო დახმარების ავტომობილების დაზღვევის ხარჯების დაფინანსების მიზნით
06 02 01	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	-40.2		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
06 02 02	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	-1,105.0		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება
06 02 03	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	-96.1		მცირდება ქვეპროგრამის დაფინანსება

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა		შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
06 02 04	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	5.4		იზრდება ქვეპროგრამის დაფინანსება
06 02 10	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	1,494.4		ახალი ქვეპროგრამა
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების გამცილებლით მომსახურება	46.1		ახალი ქვეპროგრამა
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1,227.5		ცალკე დაემატა ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულება
07 01 01	ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა	110.0		დაემატა ახალი ღონისძიება: ქალაქის ცალკეული უბნების განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავება
07 02 01	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა	50.0		ახალი ქვეპროგრამა
07 02 02	მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება	75.0		ახალი ქვეპროგრამა
07 02 03	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა	40.0		ახალი ქვეპროგრამა
07 02 04	ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება	50.0		ახალი ქვეპროგრამა
07 03 01	ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევების განხორციელება	435.0		ახალი ქვეპროგრამა
07 04 01	ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება	247.0		ახალი ქვეპროგრამა
07 04 02	თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა	220.5		ახალი ქვეპროგრამა
		7,653.0	688.0	